საზოგადოებასთან
კომუნიკაციის
სააგენტო

0160, თბილისი, ჟ. შარტავას ქ. 7
7 Shartava str. 0160, Tbilisi, Georgia
Tel: + 995 32 272 22 22

www.tbilisi.gov.ge

ბრძანება:ბ**69.01193611**

თარიღი:**27/12/2019**

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „საზოგადოებასთან კომუნიკაციის სააგენტო“-ს (ს/კ 405255165) მიერ, სოციალურ ქსელ „ფეისბუქზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საქმიანობასთან დაკავშირებით განთავსებული ინფორმაციისა და აქტივობების რეკლამირების (დასპონსორების) მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის გამარტივებული შესყიდვის საშუალებით განხორციელების შესახებ

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „საზოგადოებასთან კომუნიკაციის სააგენტო“-ს (ს/კ 405255165) მიერ, სოციალურ ქსელ „ფეისბუქზე“ განთავსებული საზოგადოებისთვის მნიშვნელოვანი ინფორმაციის გავრცელებისა და მისი ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით, საჭიროა განხორციელდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საქმიანობასთან დაკავშირებული აქტივობების რეკლამირების მომსახურებით სარგებლობა 2020 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით. აღნიშნული მომსახურების ექსკლუზიური მომწოდებელია სოციალური ქსელი „ფეისბუქი“.

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 10^1 მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 3^3 პუნქტის, 21-ე მუხლის 1^1 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „საზოგადოებასთან კომუნიკაციის სააგენტო“-ს (ს/კ 405255165) წესდების მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე და ა(ა)იპ „საზოგადოებასთან კომუნიკაციის სააგენტო“-ს სოც. მედია ჯგუფის მენეჯერის 2019 წლის 27 დეკემბრის N69-01193611883 მოხსენებითი ბარათის გათვალისწინებით,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დაევალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „საზოგადოებასთან კომუნიკაციის სააგენტოს“ (ს/კ 405255165) შესყიდვების მენეჯერს, ამ ბრძანების დანართის შესაბამისად (დანართი N1), სახელმწიფო შესყიდვის გამარტივებული შესყიდვით განხორციელება შეათანხმოს საჯარო სამართლის იურიდიულ პირთან - სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოსთან და უზრუნველყოს სახელმწიფო შესყიდვის განხორციელებისთვის აუცილებელი სხვა ღონისძიებების გატარება.

2. ამ ბრძანების პირველი პუნქტის შესაბამისად, თანხმობის მიღების შემდგომ, დაევალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „საზოგადოებასთან კომუნიკაციის სააგენტო“-ს (ს/კ 405255165) შესყიდვების მენეჯერს, სოციალურ ქსელ „ფეისბუქზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საქმიანობასთან დაკავშირებით განთავსებული ინფორმაციისა და აქტივობების რეკლამირების (დასპონსორების) მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის განხორციელება გამარტივებული შესყიდვის საშუალებით.

3. დაევალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „საზოგადოებასთან კომუნიკაციის სააგენტო“-ს (ს/კ 405255165) ფინანსურ მენეჯერს ამ ბრძანების მეორე პუნქტით განსაზღვრული ხარჯების ანაზღაურება განახორციელოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ასიგნებებიდან.

4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

5. აღნიშნული ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ეკატერინე ჯოჯუა

ა(ა)იპ "საზოგადოებასთან კომუნიკაციის
სააგენტო"-დირექტორი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი